PDF Eraser Free

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის **„პორტის ლოჯისტიკის მენეჯმენტის“** პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: დიანა გახარია

წევრები:

ტიტე ბოლქვაძე

ნია გუგუნავა

(თბილისი, 2021)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნ. გუგუნავა

PDF Eraser Free

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: საჯარო სამართლის იურიდიული პირი

საიდენტიფიკაციო კოდი: [redacted]

სახე:

- [x] უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება
- [ ] ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება
- [ ] პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნ. ბუბუნაია

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

PDF Eraser Free

სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის მიერ წარდგენილი განაცხადის საფუძველზე, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მიერ 2021 წლის 19 მარტს გამოცემული MES 5 21 0000258020 ბრძანების თანახმად შექმნილ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტების ჯგუფს დაევალა სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - „პორტის ლოჯისტიკის მენეჯმენტის“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტთან შესაბამისობის შემოწმება, დისტანციური ადმინისტრაციული წარმოების განხორციელების გზით.

ზემოაღნიშნული შესაბამისობის შემოწმების მიზნებისთვის, ავტორიზაციისა და აკრედიტაციის ექსპერტთა შერჩევის, საქმიანობისა და ექსპერტთა კორპუსის წევრობის შეწყვეტის წესის II თავის, მე-6 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, წარმოების ფარგლებში ექსპერტებმა მიზანშეწონილად მიიჩნიეს დამატებითი დოკუმენტების წარმოდგენა, რაც უზრუნველყოფილი იქნა დაწესებულების მიერ.

ექსპერტების ჯგუფმა შეისწავლა სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის მიერ წარმოდგენილი სრული დოკუმენტაცია, შეაჯერა განხილული საკითხები და ასევე შეიმუშავა დისტანციურ რეჟიმში წარმართვისთვის შეხვედრის განრიგი, რომელიც სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შეთანხმებული იქნა დაწესებულების ადმინისტრაციასთან.

შეხვედრის განრიგის თანახმად, ექსპერტების ჯგუფსა და დაწესებულების წარმომადგენელებს შორის დისტანციური კომუნიკაცია, თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით, შედგა 2021 წლის 8 და 9 აპრილს. ექსპერტები გაესაუბრნენ დაწესებულების წარმომადგენელებს, მათ შორის რექტორს, ხარისხის უზრუნველყოფაზე, ადამიანური რესურსების მართვაზე, სასწავლო პროცესის ორგანიზებაზე პასუხისმგებელ პირებს, ფოთის საზღვაო სასწავლო-საწვრთნელი ცენტრის ხელმძღვანელს, ბიბლიოთეკარს და ადმინისტრაციის სხვა წარმომადგენლებს. ასევე, ინტერვიუ შედგა პროგრამის ხელმძღვანელისა და პროგრამის შემადგენელი მოდულების განმახორციელებელ ზოგიერთ პროფესიული განათლების მასწავლებელთან. დაწესებულების წარმომადგენლებმა უზრუნველყვეს კოლეჯის შენობაში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი ფართის ჩვენება და ბიბლიოთეკის დათვალიერება. გასაუბრებაზე მონაწილეობდა ასევე პარტნიორი კომპანიის წარმომადგენელი.

დაწესებულების წარმომადგენლებთან საუბრისას, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტის მირ დადგინდა, რომ წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებით, არ ირღვევა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტთან შესაბამისობა. აღნიშნული გამომდინარეობს იქიდანაც, რომ სასწავლო უნივერსიტეტის ფოთის ფილიალში არ ხორციელდება აკადემიური პროგრამები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ნ. ბუბუნაია

PDF Eraser Free

დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადინა სენატის 2021 წლის 10 მაისის N81 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „ბათუმის საზღვაო აკადემიის ზოგიერთი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმები“, რომლებიც შეისწავლა ექსპერტთა ჯგუფმა. იდენტიფიცირებული შეუსაბამობების აღმოფხვრის მიზნით დაწესებულებას განსაზღვრული აქვს მოკლევადიანი პერიოდი, რომელიც არ აღემატება 6 თვის ვადას, ასევე, განსაზღვრული აქვს შესაბამისი რესურსები. ექსპერტთა შეფასებით ზემოაღნიშნული გეგმები თემატიკის, რესურსების და ვადების გათვალისწინებით უზრუნველყოფს დაფიქსირებული შეუსაბამობების აღმოფხვრას. შესაბამისად, ექსპერტთა მხირდან 1.2, 2.2, 2.4 და 4.1 კომპონენტები ფასდება როგორც ,,მეტწილად შესაბამისი“ (1-ლი სტანდარტის 1.2.1-1 ინდიკატორი; მე-2 სტანდარტის 2.2.1-1 და 2.4.2-1,2 ინდიკატორები; მე-4 სტანდარტის 4.1.1-3 ინდიკატორი)

IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

-

V. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში განხორციელებული წინა ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში გაცემული იმ რეკომენდაციების შესახებ, რომელთა შესრულების შემოწმება კავშირშია მიმდინარე წარმოებასთან:

- პროფესიული განათლების სისტემაში არსებული კანონმდებლობის შესაბამისი ტერმინოლოგიის გამოყენება რეგულაციებში: არ არის შესრულებული;
- შეფასების სისტემაში დაუძლეველი მოდულების რაოდენობის, როგორც სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძვლის, დაზუსტება: არ არის შესრულებული;
- მოწვეული მასწავლებლის და პროფესიული განათლების მასწავლებლის გამიჯვნა და მის მიმართ საკვალიფიკაციო მოთხოვნების მკაფიოდ ჩამოყალიბება: არ არის შესრულებული.

VI. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

-

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნ. ბუბუნაია

VII. რეკომენდაციების შეჯამება

PDF Eraser Free

შესაბამისობის რეკომენდაციები:

1-ლი სტანდარტი: ინდიკატორი 1.2.1-1 - დაწესებულებას აქვს 7 წლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა, პროფესიული განათლების განვითარების სტრატეგიული (2020-2024) გეგმა ცალკე დოკუმენტად არის დამტკიცებული და არ შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის 1-ლი სტანდარტის 1.2.1-1 ინდიკატორის მოთხოვნას - შვიდწლიანი ციკლური განვითარების გეგმის არსებობის შესახებ. იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნული შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით დაწესებულებას არ აქვს წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმა, დაწესებულებას მიეცა შესაბამისობის რეკომენდაცია პროფესიული განათლების განვითარების სტრატეგიული (2020-2024) გეგმის ხსენებული სტანდარტის მოთხოვნებთან მორგებასთან დაკავშირებით.

მე-2 სტანდარტი: ინდიკატორი 2.2.1-1 აუდიტორიების ვიზუალური დათვალიერების შედეგად, პროფესიული სტუდენტის და პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის განკუთვნილი მაგიდების და სკამების რაოდენობა, მოთხოვნილი პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობის - 30 გათვალისწინებით, პროგრამის განხორციელების მიზნებისთვის არასრულია, რაც ასევე იკვეთება დაწესებულების მიერ დამატებით გამოგზავნილ ფოტომასალაში. მითითებული შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით, დაწესებულებას მიეცა შესაბამისობის რეკომენდაცია პროგრამის დამატებისთვის უზრუნველყოს განხორციელებისთვის საჭირო ინვენტარის მობილიზება.

ინდიკატორები 2.4.2-1,2 - „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“ შეიცავს ვერიფიკაციის პროცესისთვის შეუსაბამო დებულებებს. გამოკვეთილია ვალიდაციისა და ვერიფიკაციის როგორც ტერმინების, ასევე ტერმინების ქვეშ მოაზრებული პროცესების თანაკვეთა. დაწესებულებას მიეცა შესაბამისობის რეკომენდაცია, ვალიდაციისა და ვერიფიკაციის იმგვარი მექანიზმ/ებ/ის შემუშავების შესახებ, რომელიც მკაფიოდ ასახავს პროცესებს, პასუხისმგებელ პირებს, განმახორციელებლებს, ვერიფიკაციის შედეგების განხილვის/დასკვნის მომზადების და შემდგომი ნაბიჯების დაგეგმვის პრინციპებს.

მე-4 სტანდარტი: ინდიკატორი 4.1.1-3 პროგრამის შემუშავებისა და შიდა მხარდაჭერის ჯგუფის შემადგენლობაში ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის არსებობა ეწინააღმდეგება ავტორიზაციის მე-4 სტანდარტის 4.1.1-3 ინდიკატორის მოთხოვნას (პსდ-ში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს). დაწესებულებას მიეცა შესაბამისობის რეკომენდაცია გადაიხედოს „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების და განვითრების წესი“ და „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“, რათა გამოირიცხოს ინტერესთან კონფლიქტის შემცველი მიდგომების არსებობა/შენარჩუნება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნ. ბუბუნაია

<u>განმავითარებელი რეკომენდაციები:</u>

PDF Eraser Free

მე-2 სტანდარტი: <u>ინდიკატორი 2.1.1-8</u> პროგრამის ძირითადი დოკუმენტისა და შესაბამისი დანართების შესწავლის საფუძველზე გამოკვეთილი გარემოებების გათვალისწინებით, დაწესებულებას ექსპერტების მხრიდან მიეცა რეკომენდაცია პროგრამის ადაპტირებისა და დამტკიცების მიზნებისთვის შეიმუშაოს იმგვარი მექანიზმი, რომელიც გამორიცხავს ტექნიკური ხასიათის უზუსტობების არსებობას და უზრუნველყოფს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის რეკომენდაციებისა და დაწესებულების შიდა რეგულაციების მოთხოვნებთან შესაბამისობას (დეტალურად იხ. 2.1.1-8 ინდიკატორის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი).

<u>ინდიკატორი 2.2.1-2</u> ვინაიდან „აკადემიური პერსონალისა და მოწვეული მასწავლებლების დატვირთვისა და ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრის წესის“ მე-4 მუხლის მე-8[1] პუნქტი მოწვეულ მასწავლებელთათვის სააუდიტორიო დატვირთვას განისაზღვრავს კვირაში არაუმეტეს 25 საათით, ხოლო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების „პორტის ლოგისტიკის მენეჯმენტი“ და „სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკის ოპერირება“ პროფესიული მოდულების განმახორციელებლისთვის ორივე პროგრამის ფარგლებში სასწავლო გეგმების მიხედვით, ერთდროული კვირეული დატვირთვა რამდენიმე შემთხვევაში 25 საათზე მეტია, დაწესებულებას ექსპერტების მხრიდან მიეცა რეკომენდაცია, შემუშავებული რეგულაცია და მოწვეული მასწავლებლისთვის დაგეგმილი სასწავლო დატვირთვა მოიყვანოს თანხვედრაში.

ინდიკატორი 2.2.1-4 ვინაიდან პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქცია-მოვალეობების შესახებ ინფორმაცია გაბნეულია სხვადასხვა რეგულაციების სხვადასხვა პუნქტებში, ექსპერტებმა მიზანშეწონილად მიიჩნიეს, დაწესებულებამ კონსოლიდირებულად ჩამოაყალიბოს პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქცია-მოვალეობები, რომელიც იქნება შესაბამისი რეგულაციის ნაწილი.

ვინაიდან პროგრამის ხელმძღვანელი საფუძვლიანად არ იცნობს მასზე დაკისრებულ ფუნქცია-მოვალეობებს, ნათლად ვერ ხსნის მის მიერ შესრულებულ სამუშაოებს პროგრამის შემუშავებისას და აქედან გამომდინარე ეჭვქვეშ დგება პროგრამის განხორციელების ეტაპისთვის მასზე განსაზღვრული ფუნქციების ჯეროვანი შესრულების საკითხი, ექსპერტების რეკომენდაციაა დაწესებულებამ უზრუნველყოს პროგრამის ხელმძღვანელის შერჩევის პრინციპების/პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქცია მოვალეობების/პროგრამის ხელმძღვანელის სისტემაში ინტეგრაციის მიდგომების გადახედვა/სამუშაოს შესასრულებლად პროგრამის ხელმღვანელის მომზადების მიზნებისთვის დამატებითი ღონისძიებების დაგეგმვა.

<u>ინდიკატორი 2.2.1-7</u> სასურველია დაწესებულებამ ბიუჯეტირებისას განიხილოს პროფესიულის სტუდენტების ინიციატივების მხარდაჭერისა და განმახორციელებლების პროფესიული განვითარების დაფინანსების შესაძლებლობები.

<u>ინდიკატორი 2.4.1-2</u> რეკომენდებულია, „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ მე-14 მუხლის ჩანაწერები საჭიროა ითვალისწინებდეს პროფესიული განათლების შესახებ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის მე-3 პუნქტის შინაარსს, პროფესიული სტუდენტების მიერ მათი კანონიერი უფლებით სარგებლობის შესახებ - პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნ. ბუბუნაია

დაასრულოს სწავლა იმ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომელზეც სწავლობს, ან ისარგებლოს პროფესიული სტუდენტის მობილობის უფლებით.

PDF Eraser Free

რეკომენდებულია ამავე წესის მე-13 მუხლი „პროფესიული სტუდენტის მობილობა (გარე მობილობა და შიდა მობილობა) და მიღებული განათლების აღიარების“ შესახებ და მე-11 მუხლი „პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერება/აღდგენის შესახებ“ გადაიხადოს ვადების (სტატუს შეჩერების 5 წლიანი ვადა), ტერმინების (პირველადი საფეხური) და საფუძვლების (მინისტრის ბრძანების რეკვიზიტები) ნაწილში და დაეყრდნოს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 28 დეკემბრის N120/ნ ბრძანებას „პროფესიული განათლების სფეროში კრედიტების სისტემის დამტკიცების შესახებ“, 2020 წლის 28 დეკემბრის N121/ნ ბრძანებას „ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარების წესის დამტკიცების შესახებ“ და 2019 წლის 20 სექტემბრის N198/ნ ბრძანებას „პროფესიული სტუდენტის მობილობის წესის“ დამტკიცების შესახებ.

<u>ინდიკატორი 2.4.1-4</u> სასურველია დაწესებულებამ დამტკიცებულ რეგულაციებში ჩაშალოს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის გამოყენების შესაძლო შემთხვევები, აღწეროს პროცესები, მათ შორის თუ რას მოიცავს სპეციალური საგანმანათლებლო მომსახურება, ასევე განსაზღვროს შესაბამის პროცესებზე პასუხისმგებელი პირები.

<u>ინდიკატორები 2.4.2-1,2</u> საჭიროა რეგულაცია მოიცავდეს ზუსტ ჩანაწერებს, თუ რა ვადებში, რამდენჯერ და რა პირობებით ეძლევა პროფესიულ სტუდენტს განმეორებით შეფასებაზე გასვლის შესაძლებლობა და როგორია დამატებითი შეფასებისთვის საჭირო შეფასების ინსტრუმენტისადმი წაყენებული მოთხოვნები.

დაწესებულებას ექსპერტების მხრიდან მიეცა რეკომენდაცია, პროფესიული სტუდენტის მიერ სწავლის შედეგის შეფასების გასაჩივრების ნაწილში გამართოს რეგულაცია სხვადასხვა შემხვედრი საჭიროების გათვალისწინებით, განსაზღვროს პროცედურები გონივრული ვადების მითითებით და ამასთანავე, მნიშვნელოვანია მექანიზმი ითვალისწინებდეს პროფესიული სტუდენტის მიერ შეფასების შედეგების გასაჩივრებას როგორც პროცედურულ, ასევე შინაარსობრივ საკითხებთან დაკავშირებით.

<u>ინდიკატორი 2.4.2-4</u> რეკომენდებულია, დაწესებულებაში გავრცელებული მიდგომა პროფესიული სტუდენტებისთვის სწავლის შედეგების შეფასების გაცნობის და უკუკავშირის მიწოდების შესახებ აისახოს შესაბამის რეგულაციაში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნ. ბუბუნაია

საერთო ზოგადი რეკომენდაციები:

PDF Eraser Free

მნიშვნელოვანია, რეგულაციებში უზრუნველყოფილი იქნას პროფესიული განათლების სისტემის მიმდინარე კანონმდებლობის შესაბამისი ტერმინების გამოყენება ნაცვლად იმგვარი ტერმინებისა როგორებიცაა მაგალითად: „აბიტურიენტი“, „სტუდენტი“, „მე-3; მე-4; მე-5“ ან „III,IV,V საფეხური“, „აკრედიტაციის საბჭო“, „აკრედიტაციის ექსპერტები“, „სემესტრი“.

მიზანშეწონილია, დაწესებულებამ განიხილოს ძველი კანონმდებლობის მოთხოვნები და საჭიროების შემთხვევაში შეიმუშაოს შიდა რეგულაცია, მაგალითად „მოწვეულ მასწავლებელთა შერჩევის წესში“ განსაზღვრული შემდეგი პირობა: *„პროფესიული მასწავლებელი შეიძლება იყოს უმაღლესი განათლების IV ან V საფეხურის კვალიფიკაციის მფლობელი ან პირი, რომელსაც აქვს შესაბამისი პროფესიით მუშაობის 3 წლიანი გამოცდილება.“* და მოთხოვნა 20 პროფესიულ სტუდენტზე 1 განმახორციელებლის არსებობის თაობაზე.

საჭიროა, შესაბამისობაში იქნას მოყვანილი რეგულაციებში ურთიერთგამომრიცხავი ჩანაწერები მაგალითად: სენატის რეგლამენტის დოკუმენტში, სენატის უფლებამოსილების შესახებ, მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის „ი“ ქვეპუნქტის ნაცვლად „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების და განვითრების წესში“ მე-2 მუხლის მე-10 პუნქტში მითითებულია მუხლი - მე-2 და ქვეპუნქტი - „ზ“ ; ასევე „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ მე-11 მუხლი მიუთითებს მე-10 მუხლზე პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების თაობაზე, აღნიშნული მუხლი კი ეხება შეფასების შედეგების გასაჩივრებას; პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „პორტის ლოგისტიკის მენეჯმენტი“ დამტკიცებულია ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის სენატის 2021 წლის N2/5 გადაწყვეტილებით. განაცხადის მიხედვით, აღნიშნული გადაწყვეტილება მიღებულია 9 თებერვალს, თუმცა ზუსტი თარიღი (რიცხვი, თვე) პროგრამის თავფურცელზე დატანილ რეკვიზიტებში მითითებული არ არის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ნ. ბუბუნაია

VII. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

PDF Eraser Free

პროგრამის სახელწოდება	პორტის ლოგისტიკის მენეჯმენტი
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ლოგისტიკაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0413
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	სენატის გადაწყვეტილება N2/5 – 09.02.2021
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი (ადგილები)	სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის ფოთის ფილიალის საზღვაო სასწავლო-საწვრთნელი ცენტრი ქ. ფოთი, წმ. გიორგის ქ N24
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	30 პროფესიული სტუდენტი - ქ. ფოთი, წმ. გიორგის ქ N24 **იხილეთ ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ**
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში)*.	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	51
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	81

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

VIII. პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

PDF Eraser Free

სტანდარტი/კომპონენტი	შეესაბამება	მეტწილად შეესაბამება	ნაწილობრივ შეესაბამება	არ შეესაბამება
2) საგანმანათლებლო პროგრამები	☐	☒	☐	☐
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	**სრული 3**	სრული 3	მეტწილი 2	
2.2) პროგრამის განხორციელების რესურსი	სრული 3	**მეტწილი 2**	მეტწილი 2	
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	**სრული 3**	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	**მეტწილი 2**	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	

სტანდარტის შეფასება

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება.

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად.

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

PDF Eraser Free

1. ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის მისია ითვალისწინებს პროფესიული განათლების ნაწილს, აცხადებს რა, რომ უზრუნველყოფს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მიწოდების გზით დასაქმების მოთხოვნების შესაბამისი სპეციალისტების მომზადებას.

ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის მისიაა:

- *შეასრულოს საზღვაო და მომიჯნავე დარგებში კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადების, კვლევების განხორციელების და ცოდნის საზოგადოებაში გავრცელების საგანმანათლებლო ცენტრის ფუნქცია;*
- *უზრუნველყოს დასაქმების ბაზრის მოთხოვნების შესატყვისი კომპეტენციის მქონე, პროფესიული პრობლემების იდენტიფიცირებისა და გადაჭრის, გუნდში მუშაობის, პიროვნული პოტენციალის რეალიზებისა და კვლევის უნარებით აღჭურვილი პასუხისმგებლიანი სპეციალისტებისა და ლიდერების მომზადება თანამედროვე სტანდარტების <u>პროფესიული</u> და უმაღლესი <u>საგანმანათლებლო</u> <u>პროგრამებისა</u> და უწყვეტი განათლების საწვრთნელი კურსების საფუძველზე;*
- *იხელმძღვანელოს დემოკრატიისა და ჰუმანიზმის, გამჭვირვალობისა და ხელმისაწვდომობის, ტოლერანტობისა და თანასწორობის პრინციპებით და უზრუნველყოს სწავლის, სწავლებისა და კვლევის აკადემიური თავისუფლება;*
- *გაზარდოს საკუთარი სასწავლო და კვლევითი პოტენციალი საქართველოსა და უცხოეთის საგანმანათლებლო და დამსაქმებელ ინსტიტუციებთან თანამშრომლობისა და ინტერნაციონალიზაციის გაძლიერების გზით;*

ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის სენატის 2020 წლის 29 ივლისის N13/1 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ განვითარების სტრატეგიულ (2017-2024) 7 წლიან გეგმაში შეტანილია პროფესიული განათლების განვითარების საკითხები (6.7 ნაწილი) და 1-ლი სტრატეგიული მიზნის მე-8 ამოცანად განსზღვრულია: *„ახალი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და ამოქმედება“.*

ამასთან, სენატის 2020 წლის 24 ივლისის N12/2 გადაწყვეტილებით დამტკიცებულია პროფესიული განათლების განვითარების სტრატეგიული (2020-2024) 5 წლიანი გეგმა, რომლის 1-ლ სტრატეგიულ მიზანს წარმოადგენს *„პროფესიული განათლების უზრუნველყოფა შრომის ბაზარზე ორიენტირებული საგანმანათლებლო პროგრამებით“*, მის ფარგლებში შემუშავებული მე-3 ამოცანა კი შემდეგია: *”ახალი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება, დანერგვა, განხორციელება და შემდგომი განვითარება“.* მოცემულ საკითხთან დაკავშირებით, გასაუბრების დროს, დაწესებულების წარმომადგენელმა ექსპერტებს განუცხადა, რომ 7 წლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმის დამტკიცებიდან 2 წლის შემდეგ მოხდა პროფესიული განათლების განვითარების სტრატეგიული გეგმის გამიჯვნა, რის გამოც ამ უკანასკნელის ხანგრძლივობა განისაზღვრა დარჩენილი 5 წლის ვადით.

პროფესიული განათლების განვითარების სტრატეგიული (2020-2024) გეგმა ცალკე დოკუმენტად არის დამტკიცებული, არ შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის 1-ლი სტანდარტის 1.2.1-1 ინდიკატორის მოთხოვნას - შვიდწლიანი ციკლური განვითარების გეგმის არსებობის შესახებ. იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნული შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით, დაწესებულებას არ აქვს წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმა, დაწესებულებას მიეცა შესაბამისობის რეკომენდაცია პროფესიული განათლების განვითარების სტრატეგიული (2020-2024) გეგმა მოარგოს ხსენებული სტანდარტის მოთხოვნებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნ. ბუბუნაია

„შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელიც წარმოდგენილია არგუმენტირებულ პოზიციაზე აუმჯობესებს ამ ინდიკატორის შეფასებას."

PDF Eraser Free

ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის სენატის 2020 წლის 254 ივლისის N12/5 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების და განვითრების წესის" პროგრამის შემუშავების პროცედურის შესახებ მე-2 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების თანახმად, პროგრამის დამატების დასაბუთებული ინიცირება ხდება ბაზრის კვლევის ან სხვა საჭიროებიდან გამომდინარე წერილობითი ფორმით, პროგრამის მიზანშეწონილობას განსაზღვრავს საზღვაო აკადემიის სენატი. აღსანიშნავია, რომ განაცხადის მიხედვით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „პორტის ლოგისტიკის მენეჯმენტი" განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება წარმოდგენილია ტექსტური რედაქტორის ფაილის სახით, სადაც არ არის სათანადოდ გამახვილებული ყურადღება, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს აღნიშნული დარგის განვითარებას ფოთში, რომელიც უახლოეს ზღვაზე გასასვლელს წარმოადგენს რამდენიმე ქვეყნისთვის, თუმცა მოიცავს ზოგად ინფორმაციას ლოგისტიკის მნიშვნელობასა და დასაქმების შესაძლებლობაზე (საქართველოს საზღვაო ნავსადგურები - ბათუმი, ფოთი, ყულევი, ანაკლია, სატრანსპორტო კომპანიები, საბაჟო ტერმინალები, სასაწყობე მეურნეობები). აღსანიშნავია, რომ მსოფლიოში არსებული პანდემიური სიტუაციიდან გამომდინარე, ნათელი გახდა ტრანსპორტის და ზოგადად ლოგისტიკის განვითარების საჭიროება.

<u>ექსპერტების შეფასებით, დაწესებულების განაცხადი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „პორტის ლოგისტიკის მენეჯმენტი" დამატების თაობაზე ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას, შეესაბამება მისიას და გამომდინარეობს სტრატეგიული განვითრების გეგმიდან.</u>

2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „პორტის ლოგისტიკის მენეჯმენტი" შექმნილია ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე „ლოგისტიკა და პორტის მენეჯმენტი" სარეგისტრაციო ნომერი (04113) და თანხვედრაშია ჩარჩოთი განსაზღვრულ დაშვების წინაპირობასთან - სრული ზოგადი განათლება.

   ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის სენატის 2020 წლის 24 ივლისის N12/4 გადაწყვეტილებით დამტკიცებულია „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი", რომლის შესაბამისი მუხლებით განსაზღვრულია: მიღების გამოცხადების მე-2 მუხლი, პროფესიული ტესტირების მე-3 მუხლი, ტესტირების შედეგების მე-5 მუხლი, არაქართულენოვანი აპლიკანტების სწავლების მე-6 მუხლი, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა განათლების მე-7 მუხლი საკითხები. აღნიშნული ჩანაწერების ფარგლებში, მითითებულია ჩასარიცხი პირების მიერ წარსადგენი დოკუმენტების ნუსხა, დადგენილია სსსმ აპლიკანტებისთვის განსაზღვრული ადგილების მინიმალური ოდენობა - თითოეულ პროგრამაზე არანაკლებ 15% და გათვალისწინებულია არასრუწლოვანი პირების შემთხვევაში მათი კანონიერი წარმომადგენლის ჩართულობა ხელშეკრულების გაფორმების ნაწილში.

   <u>ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ექსპერტების შეფასებით, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „პორტის ლოგისტიკის მენეჯმენტი" დაშვების წინაპირობა და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

3. „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების და განვითრების წესის“ პროგრამის შემუშავების პროცედურის შესახებ მე-8 მუხლის თანახმად, *„პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების და დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებული უნდა იყოს: პროგრამაზე მისაღები პროფესიული სტუდენტების, მოწვეული და დამხმარე პერსონალის რაოდენობრივი თანაფარდობა, რაც უნდა უზრუნველყოფდეს პროგრამით გათვალისწინებული კომპონენტებისა და სტუდენტთა მხარდამჭერი სხვადასხვა სერვისის ხარისხს; ასევე პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო ინფრასტრუქტურა, ტექნიკური აღჭურვილობა, სასწავლო რესურსები, ფინანსური უზრუნველყოფა და სხვა;“*

ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის სენატის 2018 წლის 27 ნოემბერის N13/12 გადაწყვეტილებით დამტკიცებულია „პროფესიულ სტუდენტთა კონტიგენტის განსაზღვრის წესი“, რომელიც კონტიგენტის განმსაზღვრელ კრიტერიუმებად ითვალისწინებს ადამიანურ რესურსის, მატერიალურ ტექნიკურ ბაზის, პრაქტიკის უზრუნველყოფის რესურსის, და A, B და C სასწავლო გარემოს შესაძლებლობებს 2 ცვლაში.

განაცხადით წარმოდგენილია ფაილი სახელწოდებით - *„სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის დასაბუთება, რომელიც ითვალისწინებს პროგრამის სპეციფიკას და დაწესებულების რესურსებს **პორტის ლოგისტიკის მენეჯმენტის** პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის“*, თუმცა გასაუბრების დროს, მატერილური რესურსის განხილვის ეტაპზე, დაწესებულებამ, ცენტრის მეშვეობით, ექსპერტებს მიაწოდა აუდიტორიების ნაწილში კორექტირებული ინფორმაცია ხელმოწერილი დასკანერებულია დოკუმენტის სახით.

<u>წარმოდგენილი ხელმოწერილი დოკუმენტი ეყრდნობა იმ კრიტერიუმებს, რომელიც გათვალისწინებულია „პროფესიულ სტუდენტთა კონტიგენტის განსაზღვრის წესში“. შესაბამისად, ექსპერტების შეფასებით, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „პორტის ლოგისტიკის მენეჯმენტი“ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობა გამოანგარიშებულია დაწესებულების მიერ შემუშავებული მეთოდოლოგიის მიხედვით.</u>

4. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამისთვის „პორტის ლოგისტიკის მენეჯმენტი“ გათვალიწინებული მატერიალური და სასწავლო რესურსი თანხვედრაშია ჩარჩო დოკუმენტით რეკომენდებულ ჩამონათვალთან.

<u>ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ექსპერტების შეფასებით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის „პორტის ლოგისტიკის მენეჯმენტი“ განსაზღვრული მატერიალური და საგანმანათლებლო რესურსები, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.</u>

5. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა „პორტის ლოგისტიკის მენეჯმენტი“ არ მოიცავს არჩევით მოდულებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნ. ბუბუნაია

PDF Eraser Free

6. „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების და განვითრების წესის“ მე-2 მუხლის, საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების პროცედურის შესახებ, მე-4 პუნქტის თანახმად, *„პროფესიული საგანმანათლებლო პროგამების დამტკიცება ხდება სენატის გადაწყვეტილებით, სენატის რეგლამენტის შესაბამისად“.* აღნიშნული რეგულაციის დაცვით, განაცხადით წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „პორტის ლოგისტიკის მენეჯმენტი“ დამტკიცებულია ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის სენატის 2021 წლის N2/5 გადაწყვეტილებით, აღნიშნული გადაწყვეტილება მიღებულია 9 თებერვალს, თუმცა ზუსტი თარიღი (რიცხვი, თვე) პროგრამის თავფურცელზე დატანილ რეკვიზიტებში მითითებული არ არის. ***შესაბამისად, დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია უზრუნველყოს დამტკიცების აქტის სრული რეკვიზიტებს ჩვენება დამტკიცებული პროგრამის თავფურცელზე.***

<u>ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ექსპერტების შეფასებით, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა „პორტის ლოგისტიკის მენეჯმენტი“ დამტკიცებულია უფლებამოსილი ორგანოს მიერ.</u>

7. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება „პორტის ლოგისტიკის მენეჯმენტი“ ასრულებს იდენტიფიკატორის ფუნქციას - იძლევა სწორ მიმართულებას პროგრამით გათვალისწინებული მისაღწევი სწავლის შედეგებთან დაკავშირებით, არ არის ბუნდოვანი და შეესაბამება პროგრამის შინაარსს.

8. დაწესებულების მიერ დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „პორტის ლოგისტიკის მენეჯმენტი“ შესაბამისი დანართებით წარმოადგენს ჩარჩო დოკუმენტის „ლოგისტიკა და პორტის მენეჯმენტი“ (სარეგისტრაციო ნომერი - 04113) და შესაბამისი სარეკომენდაციო დანართების ადაპტირებას. აღსანიშნავია, რომ ხსენებული ჩარჩო დოკუმენტი შემუშავებულია სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტ ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის თანამონაწილეობით.

<u>ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ექსპერტების შეფასებით, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა „პორტის ლოგისტიკის მენეჯმენტი“ შეესაბამება ჩარჩო დოკუმენტის ადაპტირების რეკომენდებულ მოთხოვნებს. კერძოდ, პროგრამის ძირითადი დოკუმენტს დანართების სახით ახლავს შესაბამისო მოდულები, მათ შორის ქართული ენა (A2,B1) და სასწავლო გეგმა. ძირითადი დოკუმენტით განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, მიზნები, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, დაშვების წინაპირობები, მისაღწევი სწავლის შედეგები, პროგრამის მოცულობა, სავარუდო ხანგრძლივობა თვეებში (9 თვე), ასევე დაშვებისა და სწავლების თავისებურებები არაქართულენოვანი პირებისთვის, ხოლო სწავლების მეთოდოლოგია და შეფასების მიმართულებები მოცემულია შესაბამის მოდულებში.</u>

პროგრამის ძირითადი დოკუმენტისა და მოდულების შესწავლის შედეგად გამოკვეთა რამდენიმე ტექნიკური უზუსტობა:

- პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა „პორტის ლოგისტიკის მენეჯმენტი“ დამტკიცებულია სახელწოდებით „<u>პორტების</u> ლოგისტიკის მენეჯმენტი“ და ამავე ცდომილებით არის მოხსენიებული ძირითადი დოკუმენტის მე-9 ნაწილში, დამტკიცებული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნ. ბუბუნაია

PDF Eraser Free

მოდულების თავფურცლებზე და ასევე „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“, მე-7 მუხლში.

- ძირითადი დოკუმენტის მე-9 ნაწილში (პროგრამის შემუშავების შესახებ) გვხვდება ჩანაწერი *„პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს მშობლიური/საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენის კომპეტენციის შეფასების მიდგომებს“*, რომელიც არ შეესაბამება აღნიშნულ ნაწილს და ასევე არ არის გათვალისწინებული ჩარჩო-დოკუმენტით.
- ძირითადი დოკუმენტის თავფურცელზე დატანილია პროგრამის სახელწოდება, თუმცა დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ მოიცავს სახელწოდებას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია პროგრამის შემუშავების ეტაპზე გაითვალისწინოს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის რეკომენდაციები პროგრამაში შესატანი აუცილებელი ინფორმაციის შესახებ (პროგრამის სახელწოდების მითითებასთან დაკავშირებით).

- ძირითადი დოკუმენტის მე-10 ნაწილში ნაცვლად „პროგრამისა“ მითითებულია „ჩარჩო დოკუმენტი“.
- ზოგადი მოდულების უმრავლესობის (ინფორმაციული წიგნიერება 2, მეწარმეობა 2, უცხოური ენა) დამხმარე ჩანაწერებში არ იკვეთება სრული ადაპტირება და გვხვდება ისეთი ჩანაწერები როგორიცაა „აუცილებელია მოდული განხორციელდეს“, რეკომენდებულია“, „შესაძლებელია“.
- უცხოური ენის მოდულის სახელწოდებად განსაზღვრულია „ინგლისური ენა“, ძირითად დოკუმენტში, სასწავლო გეგმასა და მოდულის დოკუმენტში, მათ შორის ზოგადი ინფორმაციის ნაწილში.

ზემოაღნიშნული ცდომილებების თავიდან აცილების მიზნით, დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია პროგრამის ძირითადი დოკუმენტის და მისი დანართების ადაპტირების/ცვლილებების შეტანის ეტაპზე გაითვალისწინოს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის გზამკვლევი (პროგრამის დამატების შესახებ).

- პროგრამის ძირითადი დოკუმენტი „პორტის ლოგისტიკის მენეჯმენტი“ მოიცავს დანართებს: დანართი 1.1 - პროგრამა; დანართი 1.2 - ადაპტირებული მოდულები; დანართი 1.3 - სასწავლო გეგმა. ბუნდოვანია რა იგულისხმება 1.1 დანართში.
- „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების და განვითრების წესის“ პროგრამის შემუშავების პროცედურის შესახებ მე-3 მუხლი პროგრამის სტრუქტურის შესახებ, პროგრამის დანართებს შორის ასახელებს სასწავლო გარემო და მატერიალური რესურსის ჩამონათვალს და პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შესახებ ინფორმაციას, თუმცა დამტკიცებული პროგრამის დანართებში ამ სახელწოდებით/ამ შინაარსის მატარებელი დოკუმენტი არ იძებნება.
- პროგრამის ძირითადი დოკუმენტის მე-11 ნაწილის მიხედვით, *„პროფესიული კვალიფიკაციის მოსაპოვებლად პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული მოდულებით გათვალისწინებული კრედიტები“*. ხოლო, „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ მე-15 მუხლის თანახმად, შექმნილია მუდმივმოქმედი საკვალიფიკაციო კომისია, რომელიც შიდა მხარდამჭერის ჯგუფის მიერ წარდგენილი პროფესიული სტუდენტების და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნ. ბუბუნაია

მასწავლებლების პორტფოლიოების მონიტორინგის შედეგების განხილვის შედეგად, იღებს გადაწყვეტილებას კვალიფიკაციის მინიჭების შესახებ, თუმცა პროგრამაში აღნიშნული ინფორმაცია არ იკითხება.

PDF Eraser Free

მოცემულ საკითხებთან დაკავშირებით, დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია თანხვედრაში მოიყვანოს დამტკიცებული რეგულაციები და შემუშავებული პროგრამა.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის მისია;
2. განვითარების სტრატეგიული გეგმა (2017-2024);
3. პროფესიული განათლების განვითარების სტრატეგიული გეგმა (2020-2024);
4. პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება;
5. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „პორტის ლოგისტიკის მენეჯმენტი“;
6. „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“;
7. „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების და განვითრების წესი“;
8. „პროფესიულ სტუდენტთა კონტიგენტის განსაზღვრის წესი“;
9. სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის დასაბუთება;
10. სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის დასაბუთების კორექტირებული ვერსია;
11. დისტანციური ჩართვის ფარგლებში გასაუბრება.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ნ. ბუბუნაია

3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

PDF Eraser Free

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი კორექტირებული ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის დასაბუთების დოკუმენტის მიხედვით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის „პორტის ლოგისტიკის მენეჯმენტი“ დათმობილია 4 აუდიტორია: A სასწავლო გარემოსთვის - 101 აუდიტორია; სასწავლო გარემოსთვის - 106, 108 აუდიტორია; C სასწავლო გარემოსთვის - 102 აუდიტორია. მატერიალური რესურსის შემოწმების შედეგად დადგინდა:
   A გარემო, აუდიტორია 101 - აუდიტორიაში განთავსებულია 13 მაგიდა და სკამი (12 - პროფესიული სტუდენტისთვის, 1 - პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის).
   B გარემო, აუდიტორია 106 - აუდიტორიაში განთავსებულია 13 მაგიდა, სკამი და კომპიუტერების სრული კომპლექტი (12 - პროფესიული სტუდენტისთვის, 1 - პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის).
   B გარემო, აუდიტორია 108 - აუდიტორიაში განთავსებულია 18 მაგიდა, სკამი და კომპიუტერების სრული კომპლექტი (18 - პროფესიული სტუდენტისთვის)
   C გარემო, აუდიტორია 102 - აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით.

   ინტერვიურებისას დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ B გარემოს 108 აუდიტორიიდან 3 კომპიუტერი განაწილებული იქნება 106 აუდიტორიაში.
   დისტანციური ჩართვის ფარგლებში, A და B გარემოს აუდიტორიების ვიზუალური დათვალიერების შედეგად, პროფესიული სტუდენტის და პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის განკუთვნილი მაგიდების და სკამების რაოდენობა, მოთხოვნილი პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობის - 30 გათვალისწინებით, პროგრამის განხორციელების მიზნებისთვის არასრულია, რაც ასევე იკვეთება დაწესებულების მიერ დამატებით გამოგზავნილ ფოტომასალაში. აღსანიშნავია, რომ ექსპერტების მოთხოვნის საპასუხოდ დაწესებულებას არ წარმოუდგენია შესაბამისი ინვენტარის ფლობის დამადასტურებელი მტკიცებულებები. დაწესებულების წარმომადგენლების განმარტებით, აღნიშნული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ნ. ბუბუნაია

PDF Eraser Free

ინვენტარის მოწოდებას უზრუნველყოს სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო, რასთან დაკავშირებითაც დამატებით გამოთხოვილ დოკუმენტებს შორის დაწესებულებამ წარმოადგინა სააგენტოს 2021 წლის 2 აპრილის MES 3 21 0000319453 წერილი, რომლის მიხედვითაც სააგენტო „სრულად უზრუნველყოფს დაწესებულების მოთხოვნის დაკმაყოფილებას“ სასკოლო მერხებისა და სკამების შესყიდვის თაობაზე.

იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნული შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით, დაწესებულებას არ აქვს წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმა, მოცემული გარემოება ექსპერტების მხრიდან ფასდება როგორც ხარვეზი. მითითებული შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით დაწესებულებას მიეცა შესაბამისობის რეკომენდაცია პროგრამის დამატების მიზნით, უზრუნველყოს განხორციელებისთვის საჭირო ინვენტარის მობილიზება.

„შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელიც წარმოდგენილია არგუმენტირებულ პოზიციაზე აუმჯობესებს ამ ინდიკატორის შეფასებას."

2. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის „პორტის ლოგისტიკის მენეჯმენტი“ დარგობრივ მოდულებზე განსაზღვრულია 2 განმახორციელებელი, მათ შორის პროგრამის ხელმძღვანელი. აღსანიშნავია, რომ ორივე პირი ამავდროულად წარმოადგენს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის „სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკის ოპერირება“ განმახორციელებელს და ამასთან, პროგრამების ხელმძღვანელი საერთოა. ორივე პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო გეგმების მიხედვით, არცერთი განმახორციელებლის ერთდროული კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საკონტაქტო საათს.

<u>ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ექსპერტების შეფასებით, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამისთვის „პორტის ლოგისტიკის მენეჯმენტი“ განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.</u>

აღსანიშნავია, რომ ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის სენატის 2021 წლის 5 მარტის N3/3 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „აკადემიური პერსონალისა და მოწვეული მასწავლებლების დატვირთვისა და ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრის წესის“ მე-4 მუხლის მე-8[1] პუნქტის განმარტებით *„მოწვეულ მასწავლებელთა საუდიტორიო დატვირთვა განისაზღვროს კვირაში არაუმეტეს 25 საათისა“*. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების „პორტის ლოგისტიკის მენეჯმენტი“ და „სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკის ოპერირება“ განმახორციელებლები, დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, წარმოადგენენ მოწვეულ მასწავლებლებს, რომელთაგან ერთ-ერთისთვის ორივე პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული სასწავლო გეგმების მიხედვით, ერთდროული კვირეული დატვირთვა აღემატება 25 საათს. ***აღწერილი ფაქტის გათვალისწინებით დაწესებულებას ექსპერტების მხრიდან მიეცა რეკომენდაცია, შემუშავებული რეგულაცია და მოწვეული მასწავლებლისთვის დაგეგმილი სასწავლო დატვირთვა მოიყვანოს თანხვედრაში.***

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ნ. ბუბუნაია

3. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის „პორტის ლოგისტიკის მენეჯმენტი“ განაცხადის ადამიანური რესურსების დანართით წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, შესაბამისი მოდულების განსახორციელებლად შერჩეულ პირებს უდასტურდებათ დარგობრივი კომპეტენცია. გასაუბრებისას დაწესებულების წარმომადგენლებისა და შერჩეული განმახორციელებლების მიერ ექსპერტებს განემარტათ, რომ განხორციელდა სწავლებისა და შეფასების მიდგომების გაცნობა და რეგულარულად მიმდინარეობს საინფორმაციო ხასიათის შეხვედრები. რამდენიმე განმახორციელებელი სისტემაში ახლად შემოსულია და დაწესებულებას აქვს ხედვა მათი პედაგოგიური უნარების განვითარების შესახებ. აღნიშნულთან დაკავშირებით, ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელმა პირმა წარმოადგინა სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრისადმი 2021 წლის 11 თებერვლის მიმართვის წერილი ფოთის საზღვაო სასწავლო - საწვრთნელ ცენტრში არსებული და დამწყები მასწავლებლების გადამზადების მოთხოვნით.

PDF Eraser Free

<u>ექსპერტების შეფასებით, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამისთვის „პორტის ლოგისტიკის მენეჯმენტი“ განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებლებს აქვთ პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია.</u>

4. „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების და განვითრების წესის“ პროგრამის შემუშავების პროცედურის შესახებ მე-7 მუხლის თანახმად, პროგრამის შემუშავების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფი პირველ შეხვედრაზე განსაზღვრავს პროგრამის ხელმძღვანელს, რომელიც არის „შესაბამისი დარგის მოწვეული კვალიფიციური სპეციალისტი/აკადემიური თანამდებობის პირი, რომელიც განსაზღვრავს პროგრამის *სტრუქტურისა და შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისობას, უზრუნველყოფს პროგრამის შემუშავების პროცესის კოორდინაციას, საჭიროების შემთხვევაში მის მოდიფიცირებას, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის მოზიდვას, მოდულების ადაპტირებას;“* ამავე რეგულაციის მე-4 და მე-5 მუხლის 4.4 და 5.2 პუნქტების მიხედვით პროგრამის ხელმძღვანელს აქვს პროგრამაში ცვლილებების შეტანისა და პროგრამის გაუქმების ინიცირების უფლებამოსილება. ასევე, პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქციას განმარტავს ჩანაწერი - „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ მუხლი 20, პუნქტი 7: *„მოდულის დასრულების შემდეგ პროგრამის ხელმძღვანელის და შესაბამისი პასუხისმგებელი პირის/ების მიერ ხორციელდება გახარჯული მასალებისა და ნედლეულის შესახებ ანგარიშგება.“*

ექსპერტების შეფასებით სასურველია დაწესებულებამ კონსოლიდირებულად ჩამოაყალიბოს პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქცია-მოვალეობები, რომელიც იქნება შესაბამისი რეგულაციის ნაწილი.

სსიპ „სასწავლო უნივერსიტეტის ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის სენატის 2021 წლის 9 თებერვლის N2/5 გადაწყვეტილებით, დამტკიცებულია პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის „პორტის ლოგისტიკის მენეჯმენტი“ ხელმძღვანელი.

<u>წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად, ექსპერტების შეფასებით, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის „პორტის ლოგისტიკის მენეჯმენტის“ ხელმძღვანელად განსაზღვრულია შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე პირი.</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნ. ბუბუნაია

PDF Eraser Free

თუმცა პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ პროგრამის ხელმძღვანელი საფუძვლიანად არ იცნობს მასზე დაკისრებულ ფუნქცია-მოვალეობებს, ნათლად ვერ ხსნის მის მიერ შესრულებულ სამუშაოებს პროგრამის შემუშავებისას და შესაბამისად ეჭვქვეშ დგება პროგრამის განხორციელების ეტაპისთვის მასზე განსაზღვრული ფუნქციების ჯეროვანი შესრულების საკითხი. ამგვარად, ექსპერტების რეკომენდაციაა დაწესებულებამ უზრუნველყოს პროგრამის ხელმძღვანელის შერჩევის პრინციპების/პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქცია მოვალეობების/პროგრამის ხელმძღვანელის სისტემაში ინტეგრაციის მიდგომების გადახედვა/სამუშაოს შესასრულებლად პროგრამის ხელმღვანელის მომზადების მიზნებისთვის დამატებითი ღონისძიებების დაგეგმვა.

5. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის „პორტის ლოგისტიკის მენეჯმენტი“ მოდულებით განსაზღვრული სასწავლო მასალა განთავსებულია ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის ბიბლიოთეკის ელექტრონულ ბაზაში, რომელიც ხელმისაწვდომია ბიბლიოთეკაში ჩაწერილი მკითხველისათვის, მისთვის მინიჭებული ელექტრონული კოდის გამოყენებით. გასაუბრებისას დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა განაცხადში მითითებული ინფორმაცია საკანონმდებლო მაცნესთან თანამშრომლობის შესახებ.

<u>დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ელექტრონული რესურსების გაცნობისა და პასუხისმგებელ პირთან გასაუბრების შედეგად, ექსპერტების შეფასებით, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის „პორტის ლოგისტიკის მენეჯმენტი“ განხორციელების მიზნებისთვის განკუთვნილი სასწავლო მასალა ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის.</u>

6. „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით: *„სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტებს, სხვა აპლიკანტების მსგავსად, შეუძლიათ დარეგისტრირდნენ მხოლოდ იმ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე, რომლებზე დაშვებაც განსაზღვრულია პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის წინაპირობით, კერძოდ: i. სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკის ოპერირება; ii. პორტების ლოგისტიკის მენეჯმენტი“.*

„პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“, მე-7 მუხლის მე-5 პუნქტის მიხედვით: *„სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირის სასწავლო პროცესში ადაპტაციისათვის ხორციელდება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდიფიკაცია, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენა, სასწავლო გარემოსა და პირობების შეცვლა ან/და დამატებით სპეციალური საგანმანათლებლო მომსახურება“.*

დაწესებულების წარმომდგენელთან გასაუბრების შედეგად, ექსპერტების შეფასებით, დაწესებულებაში გააზრებულია სსსმ პირების მიერ, მათი მოთხოვნილებების შესაბამისად ადაპტირებულ, პროგრამით/ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან წვდომის საჭიროება. ასევე, შესწავლილი რეგულაციის ჩანაწერით ნაჩვენებია შემხვედრ საჭიროებებზე რეაგირების აუცილებლობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნ. ბუბუნაია

ექსპერტების მოსაზრებით, მეტი სიცხადისთვის, სასურველია დაწესებულებამ რეგულაციაში დააზუსტოს შესაბამისი პუნქტები - აღწეროს რესურსების ადაპტირების შემთხვევები, განმარტოს დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურეობის სახე და განსაზღვროს პროცესზე პასუხისმგებელი პირ/ები/ი.

PDF Eraser Free

7. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის „პორტის ლოგისტიკის მენეჯმენტი“ განაცხადით წარმოდგენილი ბიუჯეტი ითვალისწინებს შემოსავლის ორ სახეობას: ვაუჩერულ და პროგრამულ დაფინანსებას, ხოლო ხარჯვითი ნაწილი მოიცავს ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის, საათობრივად მოწვეული პერსონალის შრომის ანაზღაურებას, სახარჯი მასალების, კომუნალური მომსახურების, მივლინების ხარჯებს, ასევე გარკვეული ოდენობის თანხა გათვალისწინებულია „სხვა დანარჩენი“ ხარჯისთვის. შემოსავალი გაანგარიშებულია 30 პროფესიული სტუდენტზე და რენტაბელობის ზღვარი დადგენილია 0.50%, დოკუმენტში ასევე მითითებულია ჩანაწერი „რენტაბელობა: 700“.

   დაწესებულებამ მოისმინა ექსპერტების შეფასება მოცემულ დოკუმენტის შესახებ: წარმოდგენილი ბიუჯეტი არ ასახავს პროგრამის განხორციელების რენტაბელობის რეალურ ზღვარს - სტუდენტების იმ მინიმალურ რაოდენობას, რომლის შემთხვევაშიც პროგრამა ფინანსურად მდგრადია. აღნიშნულთან დაკავშირებით გასაუბრებისას, დაწესებულების წარმომადგენლებმა, მათ შორის ფინანსურ გაანგარიშებაზე პასუხისმგებელმა პირმა, განმარტა დაწესებულების მიდგომა საპროგნოზო ბიუჯეტის შემუშავების თაობაზე და განაცხადა, რომ წარდგენილი დოკუმენტი ტექნიკურად გაუმართავია და ვერ ასახავს რეალური გაანგარიშებას. შედეგად, გასაუბრების მეორე დღეს, ცენტრის მეშვეობით, დაწესებულების წარმომადგენლებმა ექპერტებს მიაწოდეს საპროგნოზო ბიუჯეტის კორექტირებული ვერსია რენტაბელობის ზღვრის და ხარჯვითი ნაწილის დაზუსტებით, კერძოდ: „მივლინების ხარჯთან“ ინტეგრირდა „ტრენინგი“, დაემატა „ოფისის ხარჯები (მაგ. დიპლომების ბეჭდვა)“ და „სხვა დანარჩენი“ ფორმულირდა როგორც „გაუთვალისიწინებელი ხარჯი“.

   ექსპერტთა მოსაზრებით, სასურველია დაწესებულებამ ბიუჯეტირებისას განიხილოს პროფესიულის სტუდენტების ინიციატივების მხარდაჭერისა და განმახორციელებლების პროფესიული განვითარების დაფინანსების შესაძლებლობები.

   ექსპერტების შეფასებით, ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის „პორტის ლოგისტიკის მენეჯმენტი“ განხორციელების მდგრადობა ვაუჩერული და პროგრამული დაფინანსების გათვალისწინებით.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. მატერიალური რესურსის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
2. ხელშეკრულებები პარტნიორ კომპანიებთან;
3. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა „პორტის ლოგისტიკის მენეჯმენტი“;
4. „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების და განვითრების წესი“;
5. „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“;
6. ბიბლიოთეკის ელექტრონულ ბაზის მონაცემები;
7. პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტი;
8. პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტის კორექტირებული ვერსია;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნ. ბუბუნაია

9. დისტანციური ჩართვის ფარგლებში ვიზუალური დათვალიერება;
10. დისტანციური ჩართვის ფარგლებში გასაუბრება.

PDF Eraser Free

შეფასება:

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით.

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1-2 ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების და განვითრების წესის“ მე-2 მუხლი აღწერს პროგრამის შემუშავების პროცედურას: განსაზღვრავს ინიციატორებს და განმარტავს, რომ პროგრამის შემუშავებისა და ცვლილებების შეტანის მიზნებისთვის რექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტით იქმნება სამუშაო ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში შედიან განმახორციელებლები, დარგის სპეციალისტები და პოტენციური დამსაქმებლები. ამავე წესის, ამავე მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად, <u>სამუშაო ჯგუფის მუშაობას კოორდინირებას უწევს პროფესიული მომზადების ცენტრის ხარისხზე პასუხისმგებელი პირი.</u>

ზემოთხსენებული წესი ადგენს პროგრამაში ცვლილებების განხორციელებისა (მუხლი 4) და პროგრამის გაუქმების პირობებს (მუხლი 5) და განსაზღვრავს პროგრამის ხარისხის შეფასების მექანიზმებს (მუხლი 7) შემდეგნაირად:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნ. ბუბუნაია

PDF Eraser Free

მე-4 მუხლის მიხედვით, პროგრამაში ცვლილების საფუძვლებია: ხარისხის მექანიზმებით გათვალისწინებული სისტემური შეფასებებით გამოვლენილი მიგნებები, პროგრამის გარე შეფასება, პროგრამით კმაყოფილების კვლევის კითხვარებიდან მიღებული სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა ან სხვა დაინტრესებულ პირთა უკუკავშირის მონაცემები და სხვა. ასევე, „სააკრედიტაციო“ ან მონიტორინგის ვიზიტის ფარგლებში „აკრედიტაციის ექპერტთა“ მიერ გაცმული რეკომენდაციები.

პროცედურა კი ამგვარია: ცვლილება განიხილება სამუშაო ჯგუფში და მიღებული გადაწყვეტილება წარედგინება პროფესიული მომზადების ცენტრის უფროსს, რომელიც მიმართავს სენატს. ცვლილებების შესახებ ეცნობება ხარისხის სამსახურს და პროცესში ჩართულ სტრუქტურულ ერთეულებს. სწავლის შედეგების და მისანიჭებელი კვალიფიკაციის ცვლილების შემთხვევაში, ცვლილება განსახილველად ეგზავნება ხარისხის სამსახურს, საბოლო გადაწყვტილება კი მიიღება სენატის მიერ და წარედგინება სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს. საგანმანათლებლო პროგრამის ამოქმედების შემდეგ მასში ცვლილებების განხორციელება შესაძლებელია სწავლა-სწავლების პროცესის გაუმჯობესების მიზნით ყოველი „სასწავლო სემესტრის“ დაწყებამდე ერთი თვით ადრე.

მე-5 მუხლის მიხედვით, პროგრამის გაუქმების შესაძლო საფუძვლები და პროცედურა ამგვარია: პროგრამის გაუქმების საფუძველი შესაძლებელია იყოს შეფასების შედეგად გამოვლენილი სუსტი მხარები და რისკები - მატერიალური ან ადამიანური რესურსის სიმცირე, მოთხოვნადობის ნაკლებობა, სტუდენტების და კურსდამთავრებულების გამოკითხვის შედეგები, მხრადამჭერ პარტნიორებთან თანმშრომლობის შეწყვეტა და სხვა. გაუქმების შესახებ გადაწყვეტილებას პროგრამის ხელმძღვანელის ინიცირების და პროფესიული მომზადების ცენტრის უფროსის წარდგინებით იღებს სენატი და ავრცელებს იურიდიული სამსახური.

მე-7 მუხლი ასახელებს, პროგრამის შიდა შეფასებაზე უფლებამოსილ პირებს/ორგანოს: შიდა მხარდაჭერის ჯგუფი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, ISO სტანდარტების უზრუნველყოფის სამსახურის აუდიტი და განსაზღვრავს პროგრამის ხარისხის შეფასების ინსტრუმენტებს:

„7.4.1. სასწავლო პროცესის მიმდინარეობის მონიტორინგი;
7.4.2. საუდიტორიო მუშაობაზე დაკვირვება ურთიერთდასწრების გზით;
7.4.3. პროფესიულ სტუდენტთა, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვები;
7.4.4. სასწავლო მასალის მონიტორინგი;
7.4.5. სასწავლო გარემოს მონიტორინგი;
7.4.6. საგანმანათლებლო პროგრამის, მოდულის, სასწავლო მასალის პერიოდულ შემოწმება;
7.4.7. კურსდამთავრებულთა დასაქმების სტატისტიკის ანალიზი;
7.4.8. გარე ფაქტორების გათვალისწინება (საუკეთესო პრაქტიკის გაზიარება)“.

„პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ მე-19 მუხლი შიდა მხარდაჭერის ჯგუფის შესახებ განმარტავს ჯგუფის შექმნის მიზანს, შემადგენლობას და ფუნქციებს შემდეგნაირად:

მიზანი: პროფესიული პროგრამების დანერგვის წარმატებით განხორციელება, პროცესზე მუდმივი დაკვირვება და შესაბამისი მხარდაჭერის ღონისძიებების დაგეგმვა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნ. ბუბუნაია

შემადგენლობა: ა) ცენტრის ადმინისტრაციის წარმომადგენელი; ბ) ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი; გ) პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირი; დ) პროფესიული განათლების მასწავლებელი თითოეული მიმართულებიდან ან/და დარგის წარმომადგენელი.

PDF Eraser Free

ფუნქციები:

- სწავლისა და სწავლების ხარისხის ხელშეწყობა მეცადინეობებზე დასწრების დაგეგმვისა და განხორციელების გზით;
- მოდულით განსაზღვრული ყოველი შედეგისთვის შესაბამისი ინსტრუმენტის განხილვა-დამტკიცება, ცვლილებების შეტანა და ვერიფიკაცია;
- განხორციელების პროცესში მოდულის შედეგების მტკიცებულებების შერჩევითი ვერიფიკაცია წინასწარ შემუშავებული გეგმის შესაბამისად;
- კალენდარული გეგმით გათვალისწინებული შედეგების თანმიმდევრობის ცვლილების ან/და მათი გაერთიანების განხილვა-დამტკიცება;
- განმახორციელებლების წინადადებების განხილვა პროგრამასთან/მოდულებთან დაკავშირებით და საჭიროების შემთხვევაში ცვლილებების ინიცირება;
- პროფესიული სტუდენტების მეცადინეობებზე დასწრების მონიტორინგი თეორიული და პრაქტიკული სწავლების აღრიცხვის ჟურნალების მიხედვით;
- მეცადინეობებზე დასწრების შედეგების განხილვა და რეკომენდაციების შესრულების ანალიზი;
- საკვალიფიკაციო კომისიის წინაშე კურსდამთავრებულთათვის კვალიფიკაციის მინიჭების ინიცირება პროფესიული სტუდენტებისა და მასწავლებლების პორტფოლიოების მონიტორინგის შედეგების საფუძველზე;

ჩამოთვლილი რეგულაციების მიხედვით, პროგრამის შეფასების მექანიზმი ეყრდნობა შრომის ბაზრის მოთხოვნებს და უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან. რეგულაციით გათვალისწინებულია პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგების გაანალიზება და ცვლილებების შეტანის პირობები.

გასაუბრებისას ექსპერტებმა დაწესებულების წარმომადგენლებს განუმარტეს, რომ პროგრამის შემუშავებისა და შიდა მხარდაჭერის ჯგუფის შემადგენლობაში ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის არსებობა ეწინააღმდეგება ავტორიზაციის მე-4 სტანდარტის 4.1.1-3 ინდიკატორის მოთხოვნას (პსდ-ში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს). იმის გათვალისწინებით, რომ შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით, დაწესებულებას არ აქვს წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმა, ექსპერტების მიერ გარემოება ფასდება როგორც ხარვეზი. დაწესებულებას მიეცა შესაბამისობის რეკომენდაცია გადაიხედოს „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების და განვითრების წესი“ და „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“, რათა გამოირიცხოს ინტერესთან კონფლიქტის შემცველი მიდგომების არსებობა/შენარჩუნება.

„შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელიც წარმოდგენილია არგუმენტირებულ პოზიციაზე აუმჯობესებს ამ ინდიკატორის შეფასებას."

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ნ. ბუბუნაია

PDF Eraser Free

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების და განვითრების წესი“;
2. „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“;
3. დისტანციური ჩართვის ფარგლებში გასაუბრება.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას.

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის **„პორტის ლოგისტიკის მენეჯმენტი“** სასწავლო გეგმით განსაზღვრული პროფესიული სტუდენტის კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს. აღნიშნული პროგრამის შემადგენელი მოდულები არ ითვალისწინებს წინაპირობებს და შესაბამისად არ საჭიროებს სწავლის დასრულებამდე განმეორებით შეფასებისთვის დროის შუალედის არსებობას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნ. ბუბუნაია

2. „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ მე-14 მუხლი „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის“ შესახებ პროფესიული სტუდენტს სთავაზობს : *„ა)პროგრამის შეცვლის შემთხვევაში სწავლა განაგრძონ მოდიფიცირებულ პროგრამაზე; ბ)პროგრამის გაუქმების შემთხვევაში სწავლა განაგრძონ თავსებად, მომიჯნავე/მონათესავე საგანმანათლებლო პროგრამაზე, ან მობილობის წესით გადავიდნენ სხვა „აკრედიტებულ“ საგანმანათლებლო დაწესებულებაში“.* ხოლო თუ საზღვაო აკადემიაში არ ხორციელდება გაუქმებულ საგანმანათლებლო პროგრამასთან თავსებადი, მომიჯნავე/მონათესავე საგანმანათლებლო პროგრამა, დაწესებულება იღებს ვალდებულებას გააფორმოს ხელშეკრულება სხვა „აკრედიტებულ უმაღლეს” საგანმანათლებლო დაწესებულებასთან.

PDF Eraser Free

ექსპერტების შეფასებით, „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ მე-14 მუხლის ჩანაწერები, საჭიროა ითვალისწინებდეს პროფესიული განათლების შესახებ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის მე-3 პუნქტის შინაარსს პროფესიული სტუდენტების მიერ მათი კანონიერი უფლებით სარგებლობის შესახებ - „პროგრამის შეცვლის შემთხვევაში <u>დაასრულოს</u> სწავლა იმ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომელზეც სწავლობს, ან ისარგებლოს პროფესიული სტუდენტის მობილობის უფლებით“.

„პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ მე-13 მუხლი „პროფესიული სტუდენტის მობილობა (გარე მობილობა და შიდა მობილობა) და მიღებული განათლების აღიარების“ შესახებ და მე-11 მუხლი „პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერება/აღდგენის შესახებ“ გადაიხედოს ვადების (სტატუს შეჩრების 5 წლიანი ვადა), ტერმინების (პირველადი საფეხური) და საფუძვლების (მინისტრის ბრძანების რეკვიზიტები) ნაწილში და დაეყრდნოს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 28 დეკემბრის N120/ნ ბრძანებას „პროფესიული განათლების სფეროში კრედიტების სისტემის დამტკიცების შესახებ“, 2020 წლის 28 დეკემბრის N121/ნ ბრძანებას „ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარების წესის დამტკიცების“ შესახებ და 2019 წლის 20 სექტემბრის N198/ნ ბრძანებას „პროფესიული სტუდენტის მობილობის წესის“ დამტკიცების შესახებ.

3. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის „პორტის ლოგისტიკის მენეჯმენტი“ შემადგენელი მოდულები ითვალისწინებს ჩარჩო დოკუმენტით განსაზღვრულ სწავლების სარეკომენდაციო მეთოდებს, რომელიც არის თანამედროვე და უზრუნველყოფს დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას.

4. „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების და განვითრების წესის“ მე-6 მუხლის თანახმად: *„ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება ხდება სტუდენტების <u>განსხვავებული მოთხოვნების</u>, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების* და *<u>აკადემიური მომზადების</u>, აგრეთვე საგანმანათლებლო პროცესში მათი <u>შეუფერხებელი ჩართულობის უზრუნველსაყოფად</u>“.*

ამასთან, „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“, მე-7 მუხლის მე-5 პუნქტის მიხედვით: *„სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირის სასწავლო პროცესში ადაპტაციისათვის ხორციელდება პროფესიული*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნ. ბუბუნაია

საგანმანათლებლო პროგრამის მოდიფიკაცია, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენა, სასწავლო გარემოსა და პირობების შეცვლა ან/და დამატებით სპეციალური საგანმანათლებლო მომსახურება".

PDF Eraser Free

რეგულაციის შესწავლის საფუძველზე, ექსპერტები მიიჩნევენ, რომ სასურველია დაწესებულებამ აღნიშნულ რეგულაციებში ჩაშალოს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის გამოყენების შესაძლო შემთხვევები, აღწეროს პროცესები, მათ შორის რას მოიცავს სპეციალური საგანმანათლებლო მომსახურება, ასევე განსაზღვროს შესაბამის პროცესებზე პასუხისმგებელი პირები.

5. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „პორტის ლოგისტიკის მენეჯმენტი" შემადგენელი მოდულებით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევა სრულად დაგეგმილია დაწესებულების ბაზაზე, შესაბამისად პროგრამა არ ითვალისწინებს პრაქტიკული კომპონენტის ფარგლებში პარტნიორი კომპანიის ჩართულობას, თუმცა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი განაცხადი შეიცავს სხვადასხვა ორგანიზაციასთან გაფორმებულ მემორანდუმებს (შპს „სერვის პლიუსი" 11/02/2021. ყოველწლიურად არაუმეტეს 30 პროფესიული სტუდენტი; შპს „ჯორჯიან ტრანს ექსპედიცია" 11/02/2021. ყოველწლიურად არაუმეტეს 30 პროფესიული სტუდენტი).

   აღნიშულთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ რეალური სამუშაო გარემოს ჩვენების მიზნის უზრუნველყოფენ პროფესიული სტუდენტების კომპანიაში გაყვანას. ინტერვიუირებისას ექსპერტები გაესაუბრნენ ერთი-ერთი („სერვის პლიუსი") კომპანიის წარმომადგენელს, რომელმაც დაადასტურა პროფესიული სტუდენტების მიღების მზაობა.

   ექსპერტების მხრიდან დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, მემორანდუმის გაფორმების საჭიროების/სურვილის შემთხვევაში უმჯობესია დაზუსტდეს თანამშრომლობის საგანი და შესაბამისი მოდულის დამხმარე ჩანაწერებში აისახოს სწავლის შედეგის მიღწევის ადგილი.

   <u>შესწავლილი მემორანდუმების და გასაუბრების შედეგების გათვალისწინებით, ექსპერტების შეფასებით, დაწესებულებას მიღწეული აქვს შეთანხმება პარტნიორ კომპანიებთან პროფესიული სტუდენტებისთვის პრაქტიკული კომპონენტის სწავლების უზრუნველყოფის მიზნებისთვის.</u>

6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

   პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის „პორტის ლოგისტიკის მენეჯმენტი" თეორიული კომპონენტის სწავლებისთვის გამოიყენება დაწესებულების აუდიტორიები, პროგრამის განხორციელება არ საჭიროებს განსაკუთრებულ/სპეციფიკური უსაფრთოხების პირობების შექმნას/დაცვას.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის „პორტის ლოგისტიკის მენეჯმენტი";

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნ. ბუბუნაია

2. „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების და განვითარების წესი“;
3. „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“;

PDF Eraser Free

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1-2. „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ მე-9 მუხლი ეხება „პროფესიული სტუდენტის შეფასების ვერიფიკაციას“. აღნიშნული მუხლის ჩანაწერები გარკვეულწილად ფარავს შეფასების სისტემისადმი სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, რაც მოიაზრებს შეფასების ინსტრუმენტის ტექნიკურ და შინაარსობრივ შემოწმებას, შეფასების პროცესის გამჭვირვალობის, სამართლიანობისა და ობიექტურობის განმარტებას. თუმცა აღნიშნული მუხლი შეიცავს ვერიფიკაციის პროცესისთვის შეუსაბამო დებულებებს, მაგალითად: *„შეფასების ინსტრუმენტის ვერიფიკაცია საგანმანათლებლო პროგრამის დაწყებამდე“, „შეფასების მიზნებისათვის ნებადართულია მხოლოდ შეფასების ვერიფიცირებული ინსტრუმენტის გამოყენება“* და *„შიდა ვერიფიკაციას ახორციელებს შიდა მხარდაჭერის ჯგუფი, პროფესიული მომზადების ცენტრის ხარისხზე პასუხისმგებელი პირის კოორდინაციით“.* ასევე, დაწესებულების წარმომადგენლებთან ინტერვიურების დროს, გამოიკვეთა ვალიდაციისა და ვერიფიკაციის როგორც ტერმინების, ასევე ტერმინების ქვეშ მოაზრებული პროცესების თანაკვეთა.

ზემოაღნიშნული გარემოება ექსპერტების მხრიდან ფასდება როგორც ხარვეზი. იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნული შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით, დაწესებულებას არ აქვს წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმა, დაწესებულებას მიეცა შესაბამისობის რეკომენდაცია ვალიდაციისა და ვერიფიკაციის იმგვარი მექანიზმ/ებ/ის შემუშავების შესახებ, რომელიც მკაფიოდ ასახავს პროცესებს, პასუხისმგებელ პირებს, განმახორციელებლებს, ვერიფიკაციის შედეგების განხილვის/დასკვნის მომზადების და შემდგომი ნაბიჯების დაგეგმვის პრინციპებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნ. ბუბუნაია

„შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელიც წარმოდგენილია არგუმენტირებულ პოზიციაზე აუმჯობესებს ამ ინდიკატორის შეფასებას."

PDF Eraser Free

„პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის" მე-8 მუხლი ეხება „პროფესიული სტუდენტის შეფასების სისტემას", რომლის მიხედვითაც, *„პროფესიული სტუდენტის/ სტუდენტების მიერ მოდულის წინმსწრები მოდულის შედეგის ვერ დადასტურების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს ეძლევა შესაძლებლობა, უფლებამოსილი პირის (აკადემიის რექტორის მოადგილე სასწავლო დარგში) მიერ გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე, აითვისოს წინმსწრები მოდული მომდევნო მოდულის დაწყებამდე, ან აითვისოს ორივე მოდული (წინმსწრები და მომდევნო) პროგრამით გათვალისწინებული სხვა მოდულების ათვისების შემდეგ მომდევნო ჯგუფთან"*. აღნიშნული ჩანაწერი ბუნდოვანია, არ იძლევა მკაფიო განმარტებას პროფესიული სტუდენტის მიერ წინმსწრები მოდულის შედეგის ვერ დადასტურების შემთხვევაში განმეორებითი შეფასების უფლებით სარგებლობის შესახებ. ***საჭიროა რეგულაცია მოიცავდეს ზუსტ ჩანაწერებს, თუ რა ვადებში, რამდენჯერ და რა პირობებით ეძლევა პროფესიულ სტუდენტს განმეორებით შეფასებაზე გასვლის შესაძლებლობა და როგორია დამატებით შეფასებისთვის საჭირო შეფასების ინსტრუმენტისადმი წაყენებული მოთხოვნები.***

„პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის" მე-10 მუხლი ეხება „სწავლის შედეგების შეფასების გასაჩივრებას და საპატიო მიზეზით გაცდენილი შეფასების/შედეგის აღდგენას". შეფასების გასაჩივრების მიზნებისთვის დაწესებულების მიერ განსაზღვრული ვადები არასრულია, კერძოდ ცდომილებით არის დადგენილი განმახორციელებლის მიერ შეფასების შედეგების ადმინისტრაციისათვის მიწოდების ვადა „არანაკლებ 3 სამუშაო დღე", არ არის მითითებული პროფესიული სტუდენტებისათვის შემფასებლის მიერ შეფასების შედეგების გაცნობის ვადები, თუმცა ამ გარემოების დადგომიდან პროფესიული სტუდენტის მიერ გასაჩივრების შესაძლებლობა გაწერილია არაუმეტეს 5 სამუშაო დღეში. ასევე, ვერ დგინდება საჩივრის განხილვისა და გადაწყვეტილების შესახებ ინფორმაციის მიწოდების ვადები. გარდა ამისა, რეგულაციაში განხილულია გასაჩივრების ფარგლებში ეთიკის კოდექსისა და დისციპლინარული პასუხისმგებლობის ნორმების დარღვევის შემთხვევა.

დაწესებულებას ექსპერტების მხრიდან მიეცა რეკომენდაცია პროფესიული სტუდენტის მიერ სწავლის შედეგის შეფასების გასაჩივრების ნაწილში გამართოს რეგულაცია სხვადასხვა შემხვედრი საჭიროების გათვალისწინებით, განსაზღვროს პროცედურები გონივრული ვადების მითითებით და ამასთანავე მნიშვნელოვანია მექანიზმი ითვალისწინებდეს პროფესიული სტუდენტის მიერ შეფასების შედეგების გასაჩივრებას როგორც პროცედურულ, ასევე შინაარსობრივ საკითხებთან დაკავშირებით.

3. „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის" მე-8 მუხლის მე-14 პუნქტის მიხედვით *„პროფესიული სტუდენტის მიერ დადასტურებული სწავლის შედეგები ფორმდება უწყისით, რომელიც უვადოდ ინახება"*, ხოლო ამავე წესის მე-16 პუნქტის თანახმად *„შესრულების მტკიცებულებები ინახება სტუდენტის პორტფოლიოში კვალიფიკაციის მინიჭებიდან 3 წლის ვადით"*.

<u>აღნიშნული რეგულაციების თანახმად, დაწესებულებაში უზრუნველყოფილია შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების შენახვა ინდიკატორით გათვალისწინებული ვადით (შეფასების უწყისის გაფორმება წინ უძღვის კვალიფიკაციის მინიჭებას).</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნ. ბუბუნაია

4. გასაუბრებისას დაწესებულების წარმომადგენლებმა ექსპერტებს მიაწოდეს ინფორმაცია, თუ როგორ ხდება სტუდენტებისთვის მათთან შეთანხმების გზით, შეფასების შედეგების გაცნობა სხვადასხვა ფორმით - ჯგუფურად ელ. სერვისების გამოყენებით, ინდივიდუალურად საკონტაქტო ტელეფონზე დაკავშირებით და უშუალოდ მეცადინეობების დროს. პროფესიული მომზადების ცენტრის ხელმძღვანელმა, ასევე განმარტა, რომ დაწესებულებაში მიმდინარეობს სტატისტიკური მონაცემების დამუშავება - ჩარიცხული პროფესიული სტუდენტების და კურსდამთავრებულების რაოდენობრივი მაჩვენებლის შედარება, შემდგომში გადინების მიზეზების დადგენა და ამ გზით პროგრამებში ცვლილებების შეტანის საჭიროებების განხილვა.

PDF Eraser Free

ექსპერტების მხრიდან დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, დაწესებულებაში გავრცელებული მიდგომა პროფესიული სტუდენტებისთვის სწავლის შედეგების შეფასების გაცნობის და უკუკავშირის მიწოდების შესახებ ასახულ იქნას შესაბამის რეგულაციაში.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების და განვითარების წესი“;
2. „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“;
3. დისტანციური ჩართვის ფარგლებში გასაუბრება.

შეფასება:

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ:

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒

ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

X. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. გასაუბრების განრიგი

20.05.21

თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: